ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 350

ქალაქი ქუთაისი 16 დეკემბერი 2024 წელი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2024 – 2027 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2024 – 2027 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებები დანართის შესაბამისად.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის № 347 განკარგულება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა კ რ ებ უ ლ ო
მას. №---191---
17--- ---11---2024 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2024 წლის 16 დეკემბრის
№ 350 განკარგულების დანართი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში
განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში
2024 – 2027 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებები

№	საპროექტო წინადადების დასახელება	პროექტის საორიენ-ტაციო ბიუჯეტი
1.	ქალაქ ქუთაისში, კოსტავას ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	1,197,413.0
2.	ქალაქ ქუთაისში, მე-17 სპორტული სკოლის კრივის დარბაზებისა და ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია	690,888.0
3.	ქალაქ ქუთაისში, როძევიჩის ქუჩის №2ა-ში მდებარე №11 სპორტული სკოლის რეაბილიტაცია	2,194,751.0
4.	ქალაქ ქუთაისში, მესხიშვილის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	105,263.0
5.	ქალაქ ქუთაისში, ნიკო მუსხელიშვილის ქუჩაზე მდებარე სანიაღვრე არხის კალაპოტის, არხის გასწვრივ ტროტუარისა და გამწვანების მოწყობა	238,947.0
6.	ქალაქ ქუთაისში, საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრის რეაბილიტაცია	268,421.0
7.	ქალაქ ქუთაისში, ანჯაფარიძის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	2,602,822.0
8.	ქალაქ ქუთაისში, ჩორგოლიანის ქუჩის სანიაღვრე ქსელის მშენებლობა	198,719.0
9.	ქალაქ ქუთაისში, მესხის ქუჩის სანიაღვრე ქსელის მშენებლობა	1,018,015.0
10.	ქალაქ ქუთაისში, ბელინსკის ქუჩის სანიაღვრე ქსელის მშენებლობა	623,291.0
11.	ქალაქ ქუთაისში, ხანმთელის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა	443,140.0
12.	ქალაქ ქუთაისში, პეტრიწის ქუჩის მეორე ჩიხის № 9 – №12 საყრდენი კედლის მშენებლობა	372,319.0
13.	ქალაქ ქუთაისში, ასლანიკაშვილის ქუჩის №70-დან ჩანჩიბაძის ქუჩის კვეთამდე გზის მშენებლობა	113,4360.0
14.	ქალაქ ქუთაისში, ბერაძის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	455,989.00
15.	ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩის №51, სკვერის მშენებლობა	1,104,527.0
16.	ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას ქუჩის ბოლო მონაკვეთის (№33-დან №79-მდე) საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა (ბეტონის გზა)	1,498,047.0
17.	ქალაქ ქუთაისში, ზ.გამსახურდიას გამზირის №1 მრავალსართულიანი ბინის ფასადის რეაბილიტაცია	800,000.0
18.	ქალაქ ქუთაისში, ზ.გამსახურდიას გამზირის №30 მრავალსართულიანი ბინის ფასადის რეაბილიტაცია	269,552.0
19.	ქალაქ ქუთაისში, ზ.გამსახურდიას გამზირის №40 მრავალსართულიანი ბინის ფასადის რეაბილიტაცია	267,457.0
20.	ქალაქ ქუთაისში, ზ.გამსახურდიას გამზირის №42 მრავალსართულიანი ბინის ფასადის რეაბილიტაცია	278,751.0

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

21.	ქალაქ ქუთაისში, ზ.გამსახურდიას გამზირის №15 მრავალსართულიანი ბინის ფასადის რეაბილიტაცია	276,804.0
22.	ქალაქ ქუთაისში, სხირტლაძის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (ბეტონის გზა)	300,000.0
23.	ქალაქ ქუთაისში, ჭანტურიას ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა	350,000.0
24.	ქალაქ ქუთაისში, უგრეხელიძის აღმართის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა	250,000.0
25.	ქალაქ ქუთაისში, კლდიაშვილის ქუჩის №61-მდე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა	750,000.0
26.	ქალაქ ქუთაისში, არაყიშვილის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	600,000.0
		17,268,552.0

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ი.ფაცაცია